ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების,
(ქალაქ ქუთაისში, შოთა რუსთაველის გამზირის №3-ში მდებარე შენობის
პირველ სართულზე არსებული ადგილი №3) პირდაპირი განკარგვის
წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება
,,ვითიბი ბანკი ჯორჯიასათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2019 წლის 29 მაისის №177 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის N65 დადგენილების საფუძველზე, სააქციო საზოგადოება ,,ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ქუთაისის ფილიალის მმართველის 2019 წლის 26 დეკემბრის №1088 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 22 იანვრის №------ წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება ,,ვითიბი ბანკი ჯორჯიასათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ'' ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მაისის №177 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულების მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **,,მუხლი 2**. წლიური საიჯარო ქირა, სახელმწიფო შესყიდვების 06.02.2019 წლის №38 ხელშეკრულებით გამარჯვებული ინდივიდუალური აუდიტორის, დავით რობაქიძის №003/5-19 დ.რ. 18.05.2019 წლის დასკვნისა და სააქციო საზოგადოება ,,ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ქუთაისის ფილიალის მმართველის 2019 წლის 26 დეკემბრის №1088 მომართვის საფუძველზე, განისაზღვროს 3050,0 (სამიათას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით''.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სააქციო საზოგადოება ,,ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ შორის იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №11) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი